..ტამბა და რედაქცია
..ფლისი, სასახლის ქ.,
..-აზნაურო ქარვასლა
..ხმოწერნი გაზეთის დასაკუ..
..მიმართავენ რედაქციას დილის
..ს საათამდე და საღამოს 6—7
..ჯ. ქ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
..მოუწერავ წერილებს რე..
..დაქცია არ ბეჭდავს.

..არ მოლაპარაკება რედაქ..
..თან შეიძლება ყოველ დღ..
..ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ღირება 4 მან. და 50 კ.,



..ლათა ბრისოვნა ზუშკენაძე ამით აუწყებს ნაცნობთ და ნა..თესავთა, რომ დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე ჩემი

**გიგო ივანეს ძე ზუშკენაძე**

გთხოვთ რომ მობრძანდეთ განსვენებულის გამოსვენებაზე, ..თხშაბათს, 7 აპრილს, დილის აი.ისნახევარ საათზე, მიხეილო..ს საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე.



!!მიაქციეთ ყურადღება!!

გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება

**ჩინეთის მაღაზია**

ვინც ჩაის იყიდის იმას **ნობათად** მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც ..ყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას ..საჩუქრად მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—2)



**ექიმი**
ე. მ. ჩიქოვანი
..ადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი..ლ 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.



..მკურნალო და ამბულატორია
**ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.
..ურნალოში 50 საწოლია ავად..ფთათვის მიიღებიან ავადმყოფ..ი შინაგანისა, ნერვების, საქირურ..გიულისა და დედათა ავადმყო..ფობისანი,
..ამდეგ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
..ადმყოფთ სინჯავენ დილის 11 ..იდგან ნაშუადღევის 3 საა..თ. შინაგან და ნერვების ავად..მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფ..ურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი**.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი**.
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. მარშავსკი**.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


# ახალი ამბავი

—

*** **ქართული თეატრის ბედ-იღბალი.** ხვალ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დაიწყება, რომელმაც უნდა მოისმინოს და გადაწყვიტოს მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვები და სხვათა შორის ქართული თეატრის ბედ-იღბალიც.

საქმე ის არის, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით სათავად-აზნაურო თეატრი უნდა შეკეთდეს, რათა ცოტათი მაინც უზრუნველ იქმნეს საზოგადოება, თუ ვინცობაა თეატრში ცეცხლი გაჩნდა. ამ შეკეთებას კარგა ბლომა ფული დასჭირდება 15,000 მან. თუ მეტი არა.

ეხლა როგორც ისმის ზოგიერთი თავად-აზნაურთაგანი იმ აზრისანი არიან, რომ თეატრი სრულიად მოისპოს და მის მაგიერ სხვა რამ „უფრო სარფიანი“ რამ აშენდეს ან „პოსაჟიო“ ანუ „ბირჟა“ და სხვა.

აღვნიშნავთ რა ამ უცნაურ ხმას, არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი გაოცება. რას ფიქრობენ ის დალოცვილები, თუ თეატრი მოიშალა, მაშინ ხომ ბოლო მოელო ქართულ თეატრს, რომლის დაფუძნებისა და აღორძინებისათვის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელნი შრომობდნენ და იღწოდნენ... განა შესაძლებელია ეხლა, ოცის წლის შემდეგ, რაც ქართული სამუდამო სცენა არსებობს, ბოლო მოეღოს ქართულ თეატრს? ეგ რომ თავისვე ხელით საკუთარი სამარის გათხრა იქნება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თეატრი სრულებით მუქთად დაეთმობოდა ქართულ თეატრს და ის კი არა ეხლა ზოგიერთნი, მითამდა თავად-აზნაურობის ინტერესის მცველები, გზას უკრამენ და სრულებით ბოლოს ულებენ თეატრს. ყველგან ყოველი ხალხოსნობა იმას-ღა ფიქრობს, რომ თეატრი გაუმჯობესონ, ჩვენ კი ვკეტავთ...

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართლ-კახეთის თავად აზნაურობა არ აჰყვება ზოგიერთ მითამდა თავად-აზნაურთა ინტერესების დამცველთ და თუ თეატრის გაუქმების სურვილი წარმოითქვა კრებაზე, არ შეიწყნარებენ მას, ვითარცა მავნებელს და ჩვენი ერის წარმატების მოწინაამდეგეს.

*** **სასულიერო კონცერტი.** კვირას, 4 აპრილს ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იყო ბ-ნ მონადირაშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის „სვეტი-ცხოვლის“ განახლების ფონდის სასარგებლოდ. ამისთანა კონცერტები ჩვენში ჯერ არა ყოფილა, რისთვისაც ჩვენი საზოგადოება, ნამეტნავათ სამღვდელოება, მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს. კონცერტს მრავალი თვალსაჩინო ხალხი დაესწრო; სხვათა შორის დაესწრნენ მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, მის ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი, რექტორი ტფილ. სას. არქიმანდრიტი ჰერმოგენი, საკრებულო ტაძრის დეკანოზი და მთელი სამღვდელოება, კავკასიის კორპუსის უფროსი გენ.-ლეიტ. თ. მ. ქ. ამირეჯიბი, გენ.-ლ. თ. ი. ს. ჭავჭავაძე, ჩვენი პოეტი აკაკი წერეთელი, მრავალი მასწავლებლობა, მწერლობის წარმომადგენელნი, მრავალი მანდილოსნობა და სხვ. ასე რომ ეს საღამო წარმოადგენდა მთელ ქართველ საზოგადოებას. პროგრამმა კონცერტისა ძალიან ხელოვნურად იყო შედგენილი. იგი შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან; ხორო მომღერალთა შესდგებოდა ოცდა თხუთმეტი ქალისაგან და ოცდა ხუთ ვაჟისაგან.

8 ნახევარ საათზედ მობრძანდა მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, რომელსაც მომღერალთა გუნდმა უგალობა „საარქიელო საგალობელი“. შემდეგ დაიწყო კონცერტი. გუნდმა იგალობა სხვა და სხვა ქართლ-კახური საეკლესიო საგალობელი, დაწერილი და ნოტებზედ გადაღებული ანდ. ს. ბენაშვილისაგან. მომღერალთ ლოტბარობდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გალობის მასწავლებელი ი. მონადირაშვილი. პირველი განყოფილება შესდგებოდა ხუთი ნომრისაგან:

1) „აკურთხებ, სული ჩემი უფალსა“.

2) „ნეტარ არს კაცი“.

3) „ოხითა წმ. ნინოსი“.

4) „აქებდით მონანი უფალსა“.

5) „დიდება მაღალთა შინა.“

ყველა ეს ნომრები გუნდმა ძალიან ხელოვნურად შეასრულა და საზოგადოება მეტად ასიამოვნა; საზოგადოებას სურდა თავისი სიამოვნება ტაშის კვრით და ვაშას ძახილით გამოეძახა, მაგრამ ყველა ეს ექსარხოსის თხო-

ვნით აღკრძალული იყო.

მეორე განყოფილება შესდგებოდა ექვსი ნომრისაგან:

1) „მოვედი თაყვანი გცეთ“.

2) „წმიდაო ღმერთო“ (სამი ხმა).

3) „წმიდაო ღმერთო“ (გუნდი).

4) „რომელი ქერაბიმთა“.

5) „წმიდაო (სამჯერ) უფალო საბაოთ“.

6) „შენ გიგალობთ“.

ძალიან აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება მესამე განყოფილებამ, რომელიც შესდგებოდა ხუთი სხვა და სხვა კილოზედ შედგენილ ხმებისაგან:

1) „მამაო ჩვენო“ (იმერული კილო).

2) „ვინ არა გნატრიდეს“.

3) „წარემართე ლოცვა ჩემი“ (სამი ხმა).

4) „აღდგომის პირველი ირმოსი

5) „ქრისტე აღსდგა“.

დასასრულ გუნდმა იგალობა „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“. ეს გალობა საზოგადოებამ ფეხზე მდგომი მოისმინა.

ამას ზედ მოაბეს „ისპოლადი“.. ეგზარხოსმა მოიხმო ლოტბარი ი. მონადირაშვილი და აღირსა ეს სიტყვები: „მამილოცნია გამარჯვება, გულითად გმადლობ ამ სიამოვნებისთვის“. მონადირაშვილს გამოუცხადეს მადლობა აგრეთვე ეპისკოპოსმა ლეონიდმა და არქიმანდრიტმა ჰერმოგენმა. ამის შემდეგ ეგსარხოსი ფლაბიანე 12 ნახევარზე წაბრძანდა თავისი კრებულით, რის შემდეგ დარბაზში ასტყდა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი იმ დრომდის, ვიდრე გუნდი ხელ ახლად არ შეიკრიბა და ახლად გალობა არ გაიმართა. გუნდმა განიმეორა რამდენიმე საგალობელი, რომელთა შორის ყურადღება მიიზიდა ხმამ „ვინ არ გნატრიდეს“, რომელიც რამდენჯერმე იყო საზოგადოების თხოვნით გამეორებული, ასე რომ, კონცერტი გათავდა 12 საათზედ. საზოგადოება ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

ერგნელი

* * * გაზ. „მშაკი“ თავ. ილ. ჭავჭავაძის წერილებზე. გაზ. „მშაკში“ მეხუთე წერილი იბეჭდება, ილია ჭავჭავაძის წერილების წინაღმდეგ. დამწერის სახელი და გვარი მარტო დასაწყისი ასოებია. იგი ჩვენს საპატიო აზრებს მკაცრათ ეწინააღმდეგება. წერილების კილოდან სჩანს, რომ დამწერი რამდენსამე წერილს უძღვნის ხსენებულს კითხვებს.

* * * ცრუ მოთხრობა. ერთის სომხის მეცნიერის მოთხრობით ძველად ახალციხეს სომხური სახელი ერქვაო, სახელდობრ „იმ ხანა გილ“ ე. ი. თავადების სოფელიო. ახალციხე შემდეგ დაერქვაო.

* * * ძველი წიგნების გამოცემა. XII საუკუნის ქართულ მწერლობის ისტორიის ნაშთთა შორის ჩვენის საუკეთესო მწერლების წიგნებიდამ დაბეჭდილია შემდეგი წიგნები: ვეფხის ტყაოსანი, ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, ჩახრუხაძე და შავთელი.

დღემდის რჩება დაუბეჭდავათ იმავ დროის ხელოვნური რომანი „რუსუდანიანი“ და ფირდუსის პოემა „შაჰ-ნამე“ ქართულად როსტომიანად“ წოდებული.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამბოლო დროს შემდგარა ერთი წრე, რომელსაც განზრახვა აქვს „რუსუდანიანის“ და „როსტომიანის“ ცალკე წიგნად გამოცემა.

* * * ქალაქის სუფთაობაზე. ჩვენს ქალაქ ტფილისს მრავალი ისეთი თვალ-საჩინო და სახელის დამცირებელი ნაკლულევანება აქვს დღეს აქნობამდის, რომ ამ შემთხვევაში ვვონებთ არა გზით არ შეუძლიანთ თავი იმართლონ და არც ეპატიებათ ხსენებულ ქალაქის პატრონ-ბატონებათ წოდებულ თვით მართველობას. მათ მიშინ შეძლებოდათ თავის მართლება, როდესაც იგინი ყოველ ამეებისათვის ზრუნავდნენ ცდილობდნენ და აღსრულება-კი მათ ხელთ არ იყოს და სხვა უშლიდეთ რამე, მარამ აი, საქმეც ამაშია, რომ ისინი არა თუ ზრუნავდნენ და ცდილობდნენ ყოველ ქვემო მოყვანილ ნაკლულევანებისთვის თავიდგან ასაცდენლად, პირ იქით შეიძლება ასე ვსთქვათ, რომ მათ ფიქრადაც არ მოზდით და ან ასე „სხვათა ჭირი ლობეს ჩხირათ“ მიაჩნიათ და რაც შეეხება თვით ამ ქალაქის იმ უმრავლეს მკვიდრ მცხოვრებელ ხალხის შესახებ, რომლებიც ასე ითმენენ, ანუ გულგრილად უყურებენ ყოველგვარ ქალაქის ნაკლულევანებას და ბინძურობას, ეს ხალხი სწორეთ ორს ჯურა თვისებ-ღირსების ბანაკს უნდა წარმოადგენდნენ: ერთნი ისეთნი სჩანან, რომლებიც არა თუ წლებით საუკუნოებით შეჩვეულან და შეუთვისებიათ, ამ ნაკლულევანებას ვლარც კი ამჩნევენ ისე როგორადაც ნათქვამია, „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო“ და მეორე ჯურაც ისეთები სჩანან, რომლებსაც თუმცა ბევრი უწუწუნუჩივლიათ, მაგრამ რომ ვერა გაუწყვიათ-რა ცარიელი წუწუნ-ჩივილით, ისევ გაჩუმებულან და უფიქრნიათ „მოთმინებითა შენითა მართლა მოიპოვე სული შენიო“ თუ ეს ასეა ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ასეთ შეჩვეულ და მომთმენ ხალხს, მხოლოდ მარტო აი, იმათ ვერ მოუთმენიათ და ვერ შეუძლიანთ შეჰყურონ გულ გრილად ამ ქალაქის უსიამოვნო სურათების ნახვას, ვისაც ცოტათი მაინც ამ ქალაქისათვის გული შესტკივა და ამაზედ უკეთესი ან მოქალაქეს ცხოვრება უნახავს და ან წარმოდგენა შეუძლიან და აი, ამის შემდეგს შედარებით ამ ქალაქის არა სასიამოვნო სურათებით ნახვა სრულიად აღელვებთ და აშფოთებთ. და ან-კი როგორ არ უნდა აღელვდეს ადამიანი და რა გულმა უნდა გაუძლოთ, რომ გულ გრილად უყურონ იმ სურათებს სადაც ამ ქალაქის უმრავლესი შეუძლებელი ხალხი სცხოვრობს, მათი მთელი უბნები და ქუჩები სწორედ მტრისაგან აოხრებულს და უპატრონო ადგილებს მოგაგონებთ, რომლებსაც არც ხეირიანი მისასვლელ-მოსასვლელი ქუჩები აქვთ ერთმანეთში, არც დაწმენდილ-დასუფთავებული და არც ღამ-ღამობით განათებული რიგიანათ. ნეტა სახელათ რა ჰქვიან ამ უბნის ქუჩებს, ესეც არ ვიცით, რადგანაც მრავალ მათგანს არც-კი აწერია ქუჩის სახელები რა არის. აბა ახლა შეადარეთ ამ ქალაქის უმეტეს წილ უბნებსა და ქუჩებს ის ორი-სამი ქუჩა, სადაც თვით ამ ქალაქის თვით მმართველობის წარმომადგენლები ბინადრობენ, რასაკვირველია ეს სულ სხვა სანახავი გახლავთ, რომლებსაც თავიანთთვის ოღონდაც, რომ მამობა გაუწევნიათ და სხვებისთვის კი მამინაცვლობაც დავიწყებიათ. მაგრამ ამ ქალაქის თვით მმართველობა საწყალი ხალხის უბან-ქუჩების მოსაწყობათ როდის მოიცლის, როდესაც ჯერ აქნობამდის იმისთვისაც ვერ მოუცლიათ რათა თვით ბუნებამ მით ასეთი მზა-მზარეული სიმდიდრე და სიუხვე მისცათ, რომლითაც არა თუ მთელი ქალაქი, მასთან ბევრს სხვებსაც თავი უნდა მოსწონდეთ ამითი, მაგრამ ესეც ვერ მოუხმარებიათ ღირსეულად და ვერა ჰპატრონობენ. მე მოგახსენებთ აქაურ ცხელ წყლების შესახებ. აბა ნახეთ თუ რა საზარელ და საზიზღარ სურათებს წარმოუდგენთ ყოველ უცხოელ ადამიანს აქაურობის ნახვა, ჯერ ერთი ეს მთელი უბანი და მისი მიდამო ქუჩები და რა უსიამოვნო სურათს წარმოადგენს მნახველთათვის, მარტო ესეც კი კმარა გულის-ასარევათ და აბა ახლა შებძანდით და ნახეთ ყველა ეს აბანოები, თუ რა მოუწყობელია და რა უსუფთავოთ არის ამ მოიჯარადრების ხელში, ნამეტნავად ის საზოგადო „სახალხო“ განყოფილება, სადაც სულზედ თითო აბაზს კი იღებენ. და აბა, ახლა შეადრეთ მრავალ

უცხოეთის ანუ რუსეთის აბანო

სადაც ბუნებას მათთვის არა

ციარა და თვითონ ამზადებენ

აცხელებენ საბანებელ წყლ

თუ როგორის სისუფთავით

სიერათ აქვთ მოწყობილი, ამა

ველი მნახველი გაუწყებთ,

არა თუ თითო აბაზათ

ბული, არამედ ორ შაუ

ნიც კი ბევრად უკეთ არის მოწყ

ბილი ყოველის მხრივ, ვიდრე

რი ე. ი. ტფილისის ორ მანეთ

და მეტიც. სხვა და სხვა მოუწ

ლობის და უსუფთაობის გა

საკმარისია ერთ იმ სურათმა

აურიოს გული, როდესაც

ვალთ აქაურ აბანოებში

შესასვლელ-გამოსასვლელ

ლებში ჰხედავთ მუდამ ჩაკუნ

ბინძურ ტანთ საცმელებიან მ

ნოებს თათრებს და სომხებს,

ლებსაც პირში ჩაუჩრიათ ყა

ნები და ასე მოურიდე

და უსირცხვილოთ აბოლებე

როლებულ თუთუნს, როგორ

კაცებისათვის მოწყობილ გა

ფილებაში აგრეთვე დედაკაც

საშიაც ასევე ერთ ნაირათ.

ესეც წარმოიდგინეთ რა აყრო

ბული ჰაერი უნდა იყოს ამას

აბანოებში, სადაც ყველას

თავისი ჭუჭყიანი ხარეცხი მო

ხოლმე ბოხჩებით და აქავე

ირეცხამენ, ამ ჰაუზებიდგან გ

სასვლელ შესასვლელ მანძილ

ე. ი. სადაც უნდა ტანისა

გაიხადონ კარგა მანძილი

ფეხშიშველეები ცარიელ დე

წაზედ ცახცახ-კანკალით დ

ზამთარ-ზაფხულ არა დროს

შლიან გასავლელ-გამოსავ

გზებში და სხვა ათასი ასეთი

სოება.

შაქრო ი. ვ

* * * იმერეთი რით შე

მოისპოს ცრუ-მორწმუნოებ?

რი რამ საგულისხმიეროს

ნავს კაცი, თუ კი დაფიქ

ჩვენი ერის მდგომარეობის

ხებ და მეც მსურს განუ

მკითხველს ჩემი დაკვირვება

დავიწყოთ ჩვენი ცრუ მო

ნოებიდგან, რომელიც ასე

ტვირთათ აწევს ჩვენს უმის

მძიმედ დატვირთულს ერს.

ნი ჯანმრთელი ადამიანი

სალმებია ცრუ-მორწმუნოებ

რო-უდროოდ წუთი სოფლის

რამდენი დაუავადმყოფებია,

დენი ოჯახი გაუსაწყლებია

ლოთ მავალითად „ყვავილი

მელსაც ჩვენში ეძახიან „

ტონებს“. გახდება, ვინმე თ

ავად, ამ სენით, მაშინათვ

სადგომ ოთახს მოაწყობენ

და-სხვა წითელ-ყვითელი ყვ

ბით და სხვებით, ვითომ

„დიდ-ბატონებს“ იამებაო.

ურავენ ჩონგურს, გარმონს სხვებს, რომ „დიდი-ბატონები" ლისდენ და არ გაჯავრდენ. ამ თ რაც ავად უნდა შეიქნეს მყოფი და საშიშ მდგომარეო- ჩავარდეს, ექიმს მაინც არ ვრიან. არავითარ საშუალებას ხმარებენ, მხოლოდ იმათი სა- ლება მდგომარეობს იმაში, ოჯახში მყოფნი დაფორთხა- ხლებით და ეხვეწებიან: „დი- ონებო" შეგცოდეთ მოგვიტე-, გვაპატივე ესო „ბრიყვია არა რაო, ნუ აყვები მაგის სი- ელესო". რასაკვირველია, თუ ავადმყოფმა მოიხედა იტ- ნ: „ბატონებმა ჩვენი ვედ- შეიწყნარეს და გვაჩუქეს „ილიკოვო" და თუ არა, ნ იტყვიან: „ვენი ბატონები ენად გაგვიჯავრდენ, რომ ჩვე- ვეწნა, ვედრება არ მიიღეს და წოდებენ მეზობლის უცხო ქა- ს და შეახვეწებენ იქნება იმათ ონოსო.—ოჯახში როდესაც დება ბატონები, რომ იყოს ხში ოცი სული, არავინ იჭიდ- არ გაშორდება, იტყვიან: „ბა- ებს კაცი ვერსად დაემალებაო, ჩვენი სტუმარია, სადაც უნ- ავიდეთ ყველგან მოგვაგნებ- ანგელოზებს კაცი ვერსად ლებაო. ამ ფიქრით და წარ- ვენილებით მთელი ოჯახი არ ლის ფეხს, რომელთაც დაერე- ბატონები" და მუსრს ავლებს; ენი მაგალითი ყოფილა, რომ ი ოჯახი უმსხვერპლია ამ ზომების მიუღებლობისა და რთხილებლობის გამო. ავი- მეორე გადამდები სენი, მუ- ა. ბევრი ამ სენსაც „ბატო- ეძახიან და დღემდის, ვერ მუნებულან, რომ არა ვითა- ხილავი „ბატონები" არა არის ხოლოდ მუცელას მიზეზი, რც ყველა გადამდები ავად- ობისა, იგივე ბაცილაა. მუ- თ ავადმყოფი ადვილი მო- ნია, თუ კი დროზედ მიმარ- ქიმს კაცმა. ამას გარდა მომ- საც ადვილად შეუძლიან ნოს ეს სენი თავიდგან, თუ ექიმის დარიგებისამებრ მოი-, ესე იგი: ოთახი დახვეტის „კარბოლის მჟავე" ნარევი თ მოასხურებს, ავადმყოფის ლზედ დაასხამს, რაც ბაცი- უეჭველად დახოცავს. ამ ვე შეუძლია, ექიმების რჩე- გადაირჩინოს თავი მომშვე- მა ყვავილისა, წითელისა, ებისა და სხვათაგან. — ავი კიდევ ერთი ჩვენი ნა- უმეცრებისა: როდესაც კა- ლტვების ანთებით გახდება და თავზედ ცეცხლი უკიდია, გიერ, რომ ყინვა ან ცივი თ დასველებული ტილო ად-ვან, ქვეშსაგებს დააყრიან თავზედ, იქნება ოფლი მოუვიდესო. ბევრგან ამასაც არ ჯერდებიან, ქვეშსაგების ზევით, თავზედ აწვებიან ავადმყოფს და მორჩენის მაგიერ, შიგ გამოგუდავენ ხოლმე საბანში. ეს მეტად სასაცილო იქნებოდა, რომ მეტი სამწუხარო არ იყოს. დღეს, ვინ იცის, რამდენი ჯანიანი კაცი გამოუსალმებია უდროუდროვოთ წუთი სოფელს ამ გვარი უხეირო, სულელ მოვლენისაგან.

კაცმა რომ თავი გამოიყვანოს ასეთ უმეცარ მდგომარეობიდგან, რა არის ამის წამალი?—სწავლა, მეცნიერების ნათლით განათება ხალხის ბნელის გონებისა.—რას შეუძლია და ვის შეუძლია ბნელი გონების განათება? — სოფელში სკოლების, სამკითხველო-წიგნთსაცავების უმრავლესობას.—მღვდლებისა და მასწავლებლის შრომას, ქადაგს და ჩაგონებას, რასაც ვალდებულნი არიან არამც თუ მარტო ესენი, არამედ ყოველი შეგნებული კაცი.

ნოე ჯიქთომელი.

* * ს. გურძემი. (სამეგრელო) აბრეშუმას ჭიის მოყვანა. დიდი ხანია, რაც როგორც სოფელ გურძემში, აგრეთვე მთელ სამეგრელოში აბრეშუმის ჭიის მოყვანა უფრო და უფრო იდგამს ფეხს. ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენამ წინ წააყენა ცოტად თუ ბევრად დაცემული ერი. ამ ბოლო ხანებში ჭიის თესლი აქა-იქ გააფალშივეს და ამით ზოგიერთ ალაგს ვინ იცის რამოდენი ოფლი ტყუილ უბრალოდ იქმნა დაღვრილი. ამ წელში, ს. გურგემში აზნაური ბექან ჩაჩიბაიას სახლში, ახალი ქარხანა დაარსდა და თესლიც აბრეშუმის ჭიისა რამოდენიმე ასი კოლოფი დარიგებულ იქმნა ახლომახლო სოფლებში. როგორც გავიგეთ ეს თესლი საუკეთესო კოსტანტინეპოლის ქარხნიდან არის გამოწერილი, მოთავენი ამ ქარხნისა არიან: თბილისის მცხოვრებნი ბ. ბ. ხობლაროვი და ფაშიანცი. ამათ დაუთვალიერებიათ აქაური მიდამო და ჰაერიც სახარგებლოთ უცვნიათ. ამისათვის აზრადა აქვსთ აბრეშუმის ჭიის თესლის ქარხანა გახსნან. ღმერთმა ქნას, ამ ჩვენს მიყრუებულ კუთხეში, რამე ხლებმიცემობის კვალი გაიმართოს.

გურძემელი

# თეატრის მატიანე

ქ. სოხუმი. საქველ-მოქმედო აზრით გამართული წარმოდგენა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ ამ უკანასკნელს ხანში ქართული წარმოდგენები ჩვენს ქალაქში ხშირად იმართება. უფრორე სანუგეშოა ის ამბავიც, რომ აქაური საზოგადოებაც თანაგრძნობით ეკიდება ამ წარმოდგენებსა, მათი აღმზრდელი მნიშვნელობა შეგნებული აქვს საკმაოდ და სცდილობს სცენის მოყვარეთ მხარი მისცეს და არც ერთს წარმოდგენას არ დააკლდეს. ამის მოწამენი ვიყავით 28 მარტსაც.

აღნიშნულს რიცხვს ქუთაისის დრამატიულ დასის მსახიობმა თავ. შალვა დადიანმა (ქუჯი) ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართა ქართულ-რუსული წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი 89 მანეთი სრულიად გადასცა მომავალ ქართულ საქალებო სკოლის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. წარმოდგენილი იყო: „ბუტიაობა" (რუსულად) ბილიბინისა, „დათვი" (რუსულად) ან. ჩეხოვისა, „შემლილის წერილები" (რუსულადვე) გოგოლისა; ქართულ ენაზე: „ბუტიაობა" აკაკისა და „ჭკუისა მჭირს" აქ. ცაგარლისა. რუსულ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ბნნი ა. ბ. სმელნიცკისა, ა. ე. პაევსკისა, ო. ი. ტკაჩენკო, ე. ნ. ფილიპიევისა; ბ-ნნი ს. ნ. კოლესნიცკი, კ. ლ. ტიტარენკო, ა. შოშინი და ხრუსტალევი ქართულ ვოდევილების როლები განაწილებული ჰქონდათ: ქ-ბნთ სალ. ლოლუას, ელისაბ. გუგუშვილს და მაკრინე თურქიას; ბბ. რაჟდენ ქუთათელაძეს, თ. შალვა დადიანს, თ. გრ. დადიანს, სოლ. გულისაშვილს, თ. სახოკიას და გიორგი ბარკალაიას. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. სცენის მოყვარეთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს საზოგადოებისა ქ. მაკრინე თურქიას ქალმა (ბაბალე) და ბ-ნმა დ. თავზარაშვილმა (ბუღდან). საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა და, ნიშნად მადლობისა, მოთამაშე ქალებს მიართვა ცოცხალ ყვავილების საუცხოვო თაიგულები.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის ნება წარმოდგენამდე 3 საათის წინ მოვიდა, ხალხი აუარებელი დაესწრო. ბევრნი ფეხზე იდგნენ, ბევრნიც დაბრუნდნენ, რადგან დასადგომი ადგილიც ვერ იშოვეს.

შემდეგს წარმოდგენას აპირებენ ნაალდგომევს.

## საეკკლესიო ცნობანი

**წმინდა დავით III აღმაშენებელი, მეფე საქართველოსა (1089—1125 წ.)**

ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის კირიონისა

(მართალაძის თარგმანი *)

სასულიერო წოდება, მონასტრები, ეკკლესიები თავიანთი გლეხებითურთ გაანთავისუფლა ყოველგვარის სახელმწიფო გარდასახებიდან; ააშენა მრავალი საავადმყოფოები, გამოისყიდა ტყვედ წაყვანილი ქართველები თავის საკუთარი შეძლებით და თითქმის ყოველ დღეს ურიგებდა გლახაკთ და დავრდომილთ მოწყალებას. ააგო მონასტერი წმ. დიდისა მოწამისა ეკატერინეს სახელზე, სინაიის მთაზე, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა მიიღო კანონი უფლისაგან და გაამწესა იმ მონასტერში ქართველი მიტროპოლიტი. მოიშორა ურიდესნი, მოღალატენი საქართველოისა და მოიკრიფნა ერთგულნი, გამოცდილნი და ჭეშმარიტი მოსიყვარულენი ქვეყნისანი. გარდა ქართველებისა, თუ დავით აღმაშენებელი ღირსეულად ჩასთვლიდა, სხვა ტომის ხალხსაც აძლევდა სამსახურს სამეფოში. ამ ნაირი ბრძნულის მეფობით დავით III იმნაირად დააყენა საქმეები, რომ შესანიშნავის გიორგვინოსნის მეფობის დროს ეწოდა „ოქროს საუკუნე". მრავალის გამარჯვებით მეფემ ისეთი სახელი გაითქვა ევროპაში და აზიაში, რომ სულჯუკების სულთანმა ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და საბერძნეთის იმპერატორი ალექსი კომნინი (1081—1118 წ.) სცდილობდა გამეგობრებოდა როგორმე დავით აღმაშენებელს. სომხებმა კი, რომლებიც გაანთავისუფლა თათრების ტანჯვიდან, მოისურვეს შეერთებულიყვნენ მართლმადიდებელ ეკკლესიასთან; რის გამოც სასომხეთის სატახტო ქალაქ ანში მოხდა კრება თავმჯდომარეობით საქართველოს კათალიკოსის იოანე III და უგანათლებულესის იყალთოს ეპისკოპოზის არსენისა. დიდის მსჯელობის შემდეგ, ქართველების და სომხების უმაღლესი სასულიერო წოდების პირნი ზოგიერთა დოღმატებში ვერ მორიგდნენ და ამისათვის სომხის ეკკლესიაც აღარ შემოუერთდა მართლ-მადიდებელ ეკკლესიას. მეფე დავითი ყოველთვის ჰპოულობდა თავისუფლებას, ომიანობისა, მოგზაურობისა და ნადირობის დროს, [illegible]ულობდა და კითხულობდა სასულიერო წიგნებს; ყველაზე უფრო ხშირად კითხულობდა სახარებას და სამოციქულოს: რამდენჯერაც წაიკითხავდა სამოციქულოს, იმდენი ნიშანი უნდა დაესვა ბოლოში. მატიანე მოგვითხრობს, რომ ერთი წლის განმავლობაში 24 ნიშანი უჯდა სამოციქულოსაო; მაშასადამე თავიდან ბოლომდინ ერთი წლის განმავლობაში სამოციქულო ოცდაოთხჯერ წაუკითხნია.

როგორც სამღვდელო წერილე-

*) იხ. „ცნ. ფურც." № 790.

ისე იმ წიგნების შედგენაც უყვარდა თვითონ. ერთი წიგნი შეადგინა მიბაძვით მონანიების საგალობლისა (ეფიმონ) წმ. ანდრია კრიტელის. შეადგინა ცხრა საგალობელი განყოფილებით და ჩაურთო „მიწყალე მე. ღმერთო, მიწყალე მე“ და ცხრა ძილის პირით. სასულიერო სწავლის მტკიცე ცოდნა, გვიმტკიცებს ჩვენ დავით აღმაშენებლის სულიერ მდგომარეობას. ოცდა-თექვსმეტი წლის ამგვარის მეფობისათვის დავით აღმაშენებელს ეწოდა სახელი „დიდებულისა“. რადგანაც დავით აღმაშენებელმა განახლა დანგრეული ქალაქები, აღადგინა ტაძრები და ძეგლები ეწოდა მას „აღმაშენებელი“; ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულის გამო და თავის წმინდა ცხოვრებისთვის ეწოდა „წმინდა“. მეფე დავითი გარდაიცვალა 1125 წ. იანვრის 24 დღეს ორმოცდათოთხმეტის წლისა დაბადებიდან. (См. жит. св. ц. Давида Ш Возобн. Полное Жизнеопис. свят. Груз. церкви Сабинина, 7, 3 стр. 103—140; о празд, устан. Правосл. Груз. церк. Д. Пурцеладзе, стр. 19—31; Грузія и Арм. Муравьева, 7, 3, ст. 159—167 „ქართლის ცხოვრება“ ნაწ. I, გვ. 263—235; საქართველოს სამოთხე, საბინინისა, გვ. 489—512 და „დავით აღმაშენებელი“ ისტ. მონოგრ. ბ. ურბნელისა, „მოამბე“ 1894 წ. დავით აღმაშენებელი დასაფლავებულია გელათის მონასტრის შესავალში. სასაფლაოს ქვაზე აწერია ასო-მთავრულად: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკ-იუკ-ე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ ვთნავს ესე“. ამის შემდეგ ნაწილები წმ. მეფისა და მხურვალედ მოყვარულისა მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისა გადატანილ იქმნა და დაკრძალულ გელათის საკრებულო ტაძრის ტრაპეზის ქვეშე. ეკკლესიამ ჩარიცხა დავით აღმაშენებელი წმინდანებშორის და დააარსა მის მოსაგონებლად უქმე 26 იანვარი და შეადგინა საგალობელი (канонъ), რომელიც შემდეგში შეავსო კათალიკოსმა ანტონ I-მა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აპრილი.

**პარიზი.** „ფიგარო“-ში დაბეჭდილია მაიორის ლაუტისა, არხივის გამგის გრიბელენისა და გენერალ ზუადეფრის ჩვენება. ამათ ჩვენებაში ახალი არა არის-რა. გაზეთი გვარწმუნებს, რომ გარდაწყვეტილია—პირის პირ წარუყენონ როჟე პიკარს, კიუინიეს, პალეოლოგს და მატტენსო, და აგრეთვე ისიც, რომ დამატებითი გიმოძიება არ მოხდებაო.

**ვაშინგტონი.** სამოას საქმეების გამხილველი კომისია წავიდა სანფრანცისკოდგან. ადმირალს ლაუცს ინსტრუქცია გაეგზავნა, ერიდოს უსარგებლო შეტაკებას. სანამ სამი სახელმწიფო არ გადასწყვეტს—რა გზას უნდა დაადგნენ.

**ბერლინი.** რეიხსტაგს მსჯელობა ჰქონდა სამოას საქმეების გამო წარდგენილ შეკითხვის შესახებ; ასეთი შეკითხვა წარადგინა ყველა დასმა, სოციალ-დემოკრატების გარდა. სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა განაცხადა, რომ გერმანია პატივსა სცემს სხვათა უფლებას, მაგრამ ამავე დროს არავის ნებას არ მისცემს თავისი უფლების და ინტერესების გაქელვისასო, შემდეგ ბიულოვმა აუწყა პალატას, რომ ინგლისმა გარდაწყვეტით შეიწყნარა გერმანიის წინადადება სამოას საქმეების განსახილველად კომისიის დანიშვნის შესახებაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ფონ-ბიულოვმა, ილაპარაკა რა სამოას კუნძულების შესახებ, სთქვა, რომ მთავრობა მკაცედ ასრულებს ამ კუნძულების შესახებ დადგენილებას, მაგრამ იმათი განწეს-რიგება საჭიროდ მიაჩნიაო. კაიცის შეტაკების შესახებ ფაქტთან არა იციან-რა. გერმანია თხოულობს, რომ ინგლისმა არა დაუშაოს-რა დატუსაღებულ გერმანელ პლანტატორებს, თუ კი ისინი დამნაშავენი არ აღმოჩნდებიან. ინგლისი თანახმაა გერმანიის წინადადების სამოას კომისიის შესახებ. გერმანია შეიწყნარებს მხოლოდ ისეთ დადგენილებას, რომელიც ხელ უხლებლად დაიცავს გერმანიის უფლებას და ინტერესებსო.

3 აპრილი

**პეტერბურგი.** სამთო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს: „ეგზამენებზედ დასასწრებლად, რომელიც 5 აპრილს დაიწყება, სტუდენტებს შეუშვებენ განსაკუთრებულ ბილეთებით. ბილეთებს სტუდენტებს სახლში გაუგზავნიან, იხინი, ვინც ეგზამენებზედ არ გამოცხადდებიან ინსტიტუტიდგან დათხრვნილ იქმნებიან“.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს, სამოქალაქო ლორდმა აუგუსტინ ჩემბერლენმა განაცხადა ვეი-ხაი-ვეის შესახებ, რომ ჩემის აზრით ვეი-ხაი-ვეი ჩინეთში იგივე უნდა გახდეს, რაც ამ ბოლოს დრომდე გიბრალტარი იყო ხმელთა შუა ზღვაში.


# განცხადებანი

**ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.**

журналъ политическій, литературно-художественный и сатирич[...]ъ КАРРИКАТУРАМИ

# „РАЗВЛЕЧЕНІЕ“

вступаетъ въ 41 годъ своего существованія. РАЗВЛЕЧЕНІЕ— журналъ вполнѣ **семейкаго характера**, не [...]ворствуетъ грубымъ вкусамъ толпы. а старается быть в[...] вполнѣ корректнымъ и приличнымъ.

**РАЗВЛЕЧЕНІЕ въ 1899 г., дастъ своимъ подписчикамъ:**

1) Пятьдесятъ номеровъ журнала, въ которыхъ бу[...] помѣщено болѣе 800 прекрасно исполненныхъ рисунковъ [...]ромъ, карандашемъ и въ краскахъ извѣстныхъ каррикатурист[...] художниковъ. Литературный отдѣлъ будетъ вмѣщать въ [...] массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, стихо[...]реній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ [...]чей, дающихъ полную картину нравовъ современнаго об[...]ства **столицъ и провинціи (провинціяльныя злобы дня** и курьезы [...]дутъ помѣшаться въ текстѣ и рисункахъ). Въ продолженіе [...]го года будутъ помѣшаться **юмористическія иллюстраціи въ** [...]**скахъ** къ произведеніямъ извѣстныхъ русскихъ и иностран[...] поэтовъ и писателей. (Иллюстраціи эти полны захватываю[...] интереса по своему художественному исполненію).

Всѣ годовые подписчики получатъ ПРЕМ[...]

**ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬБОМЪ въ КРАСКАХЪ**

*Царь Феодоръ Іоановичъ*

Трагедія **Графа А. К. Толстого.**

Альбомъ будетъ заключать въ себѣ 12 картинъ въ крас[...] снятыхъ со сценъ піесы графа А. К. Толстого **„Царь Θео[...] Іоановичъ“**, шедшей въ Москвѣ въ «Художественно-Общ[...]ступномъ театрѣ» подъ управленіемъ К. . таниславскаго [...] В. И. Немировича-Данченко.

Въ памятъ столѣтія со дня смерти А. С. Пушкина бу[...] разосланъ ПУШКИНКІЙ НОМЕРЪ посвященный памяти по[...] Полное собраніе сочиненій популярнаго юмориста А. П[...] (А. П. Подурова).

Годовая цѣна журнала ШЕСТЬ РУБЛЕЙ, съ преміями СЕМЬ РУБЛЕЙ.

Допускается разсрочка: при подпискѣ **ТРИ** руб., въ мартѣ **одинъ** р., въ [...]лѣ **одинъ** р. и маѣ **одинъ** р. (Пробный № высылается за три семик[...]чныя марки). Адресъ: **Москва, журналу РАЗВЛЕЧЕНІЕ.** 8-

Подписка на **1899** годъ

# РУССЪ 4 **руб. въ годъ съ пересылкой.**

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ“ 2** Рубля в[...] съ перес[...]

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служ[...]ственнымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою [...]мостоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря [...] выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателя[...] общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газ[...]

| | | | |
|---|---|---|---|
| **„НЕДѢЛЯ“** | еженедѣльная общественно-политическая газеаа | **9** Руб. въ годъ съ перес. | **Всѣ четы[...] издані[...] 15** р. въ[...] съ п[...] |
| **„КНИЖКИ НЕДѢЛИ“** | ежемѣсячный литературный журналъ | | |

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редак[...]дѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, [...] Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Маза[...] О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. [...]жулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайд[...]*

(12—12) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Гол[...]*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Апрѣля 1899 г. სტ. „ქბ. ფურც.“) ვ. ბენიძე), რედაქტორ-გამომცემელი ვ.